ივანე ჯავახიშვილის ,,საქართველოს რესპუბლიკის რუკის" (1922წ) ტოპონიმიკური ანალიზი და კარტოგრაფირება

ქეთევან ელიაშვილი
ელ-ფოსტა:ketevan.eliashvili456@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი 0179, საქართველო

ანოტაცია

ნაშრომში ასახულია ივანე ჯავახიშვილის 1922 წლის ,,საქართველოს რესპუბ-ლიკის რუკის" ტოპონიმიკურ-გეოგრაფიული ანალიზი-კვლევა და კარტოგრაფირება ზოგიერთი ტოპონიმის.

კვლევის შედეგად დადგინდა ივანე ჯავახიშვილის 1922 წლის ,,საქართველოს რესპუბლიკის რუკის" მნიშვნელობა, როგორც ტოპონიმუკური შესწავლის წყარო. გამოიკვეთა ქართული ტოპონიმების ადგილი გეოგრაფიული ობიექტების სახელწო-დებებში, მოხდა მათი გეოგრაფიულ-სივრცული ანალიზი, დადგინდა გავრცელების არეალები, განიხილა მათი გავრცელება მაზრების მიხედვით სტატისტიკურად და კარტოგრაფირებაც. აგრეთვე, გაანალიზდა ქართული ტოპონიმების გავრცელების გეოგრაფიული თავისებურება საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვრის ფარ-გლებში ანუ ისტორიულ საქართელოში.

აღსანიშნავია, რომ გამოიკვლია საქართველოს ადმინისტრციულ-ტერიტორიუ-ლი ერთეულების განაწილების თავისებურება და ძველის შედარება თანამედროვე-სთან მიმართებაში, მოხდა გეოგრაფიული ობიექტების კვლევა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და მათი ანალიზი სტატისტიკურად, ზოგიერთი მათგანის კი თვისობრივადაც.

მოძიებული იქნა ზოგიერთი ტოპონიმების კლასიფიკაციის ანალიზი და მასთ-ან შედარებით მოხდა ზოგიერთი ტოპონიმის კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.

შესაბამისად, დადგნდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმთა უდიდესი ნაწილი ქართულია, თუმცა ცალკეულ მაზრებში უცხოური ფენის წილიც მნიშვნელოვანია; ასევე, ისტორიული საქართველოს ფარგლებში (შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, არტაანი) ტოპონიმთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულია, რაზეც მიგვანიშნებს ქართული სიტყვების სიმრავლე და/ან ტოპონიმთა წარმოება ქართული სუფიქსებით.